თბილისის თავისუფალი აკადემია

ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტი

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში - „აკადემია“) ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტი შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

1.2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშვალდებულებების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიკური და ეფექტური ფუნქციონირება;

1.3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტის მიზანია უმაღლეს სასწავლებელში არსებული ფინანსური რისკების იდენტიფიცირება და ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანი მართვა;

1.4. ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტის ამოცანაა გრძელვადიან პერსპექტივაში შეფასდეს უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირების აქტორები, განვითარების სტრატეგიები, ღირებულებათა მასშტაბები;

1.5. ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტის მიზანია ფინანსური მართვის გაუმჯობესება და შემდგომი შესაძლებლობების შეფასება, რათა მოხდეს საჭირო ფინანსური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 2. საქმიანობის სფერო

2.1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტი არის გზამკვლევი აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულებისათვის ბიუჯეტირების და მონიტორინგის პროცესში;

2.2. ბიუჯეტის შედგენის, შემოსავლების და ხარჯების განსაზღვრის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესების ადმინისტრირებას ახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური;

2.3. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფინანსური ანგარიშგებისათვის განსაზღვრონ შესაბამისი საჭიროებები;

2.4. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან უზრუნველყონ,

რომ საჭიროებები შეესაბამებოდეს აკადემიის არსებულ ბიუჯეტს, იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი.

მუხლი 3. სტრუქტურული ერთეულების საჭიროებების განსაზღვრის ანალიზი

3.1. აკადემიის სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის სფეროდან გამომდინარე აიდენტიფიცირებენ საჭიროებებს;

3.2. სტრუქტურული ერთეულების საჭიროებები უნდა შეესაბამებდეს აკადემიის მისიას, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

3.3. სტრუქტურული ერთეულების საჭიროებები უნდა უზრუნველყოფდეს ინსტიტუციის მომავალი განვითარების პრიორიტეტების შესრულებას;

3.4. სტრუქტურული ერთეულები საჭიროებების დადგენისას უნდა ითვალისწინებდნენ გასული წლის ბიუჯეტის ანალიზს;

3.5. სტრუქტურული ერთეულების საჭიროებები უნდა იყოს რეალისტური, გაზომვადი და დროში გაწერილი.

მუხლი 4. ბიუჯეტის შემუშავების ეტაპები

4.1. გასული წლის ბიუჯეტის ანალიზი;

4.2. სტრუქტურული ერთეულების მიერ განსაზღვრული საჭიროებების წარდგენა ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურისთვის;

4.3. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მიერ სტრუქტურული ერთეულების მხრიდან წარდგენილი საჭიროებების ფინანსური შეფასება/ანალიზი;

4.4. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მიერ პრიორიტეტების იდენტიფიცირება

აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით;

4.5. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მიერ ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და სენატზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუხლი 5. ბიუჯეტის შემუშავების ვადები

5.1. ბიუჯეტის ანალიზი - ყოველი საანგარიშო წლის 15 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით;

5.2. საჭიროებების წარდგენის ეტაპი - ყოველი საანგარიშო წლის 01 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით;

5.3. პრიორიტეტების იდენტიფიცირების ეტაპი - ყოველი საანგარიშო წლის 16 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით;

5.4. ბიუჯეტის პროექტის სენატზე განხილვა/დამტკიცება - ყოველი საანგარიშო წლის 01 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი

6.1. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს;

6.2. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის მიზანია აკადემიაში რესურსების, ხარჯების და ვალდებულებების მართვის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება;

6.3. აკადემიაში ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ყოველ კვარტალურად;

6.4. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური უზრუნველყოფს რექტორის სრულად ინფორმირებულობას ბიუჯეტის შესრულებაზე.

მუხლი 7. ბიუჯეტის კორექტირების პროცესი

7.1. გაუთვალისწინებელი გარემო ფაქტორების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირება;

7.2. დამტკიცებულ ბიუჯეტში კორექტირების განხორციელება შესაძლებელია აკადემიის რექტორის ინიცირების საფუძველზე;

7.3. დამტკიცებულ ბიუჯეტში კორექტირების განხორციელება შესაძლებელია წელიწადში არაუმეტეს 2 - ჯერ;

7.4. კორექტირებულ ბიუჯეტს ამტკიცებს სენატი.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1. აკადემიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტი ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

8.2. აკადემიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

8.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.